ეროვნულ დემ.-ლი პარტია. სამშაბათი, სექტემბერი 23 1919 წ. № 158. ფასი 2 მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ქვეყანა

**რედაქცია**

**საგაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

**რედაქცია ღიაა:** დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**კანტორა**

**გაზეთის ფასი:** ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 60 მ.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

...ქართოთ გვჭირდება გამოცდილი მოამბე (ხრო-...ორი) და ექსპედიტორი. პირობების გაგება შე...მლება გაზეთ „ჩვენი ქვეყნის" რედაქციაში.

## ...სავლეთ საქართველოს ეროვნულ-დემ. პარტიის ახალგაზრდათა საყურადღებოთ.

...ამათ ეროვნულ დემოკრ. პარტიის სტუდენტთა და მოწაფეთა ორგანიზაციების ...ნილებისა, ახლო მომავალში, ქ. ქუთაისში გაიხსნება ახალგაზრდათა მეორე შეერთებული თავისუფალი

## ყ რ ი ლ ო ბ ა.

...ობაზე დასწრება მანდატებით შეიძლება რომელსაც მიიღებთ ქუთაისლები ...ნი ქვეყნის" რედაქციაში და პროვინციელები—პროვინციაში. (დრო და ადგილი შემდეგ იქნება გამოცხადებული).

**დასავლეთ საქართველოს სტუდენტთა და მოწაფეთა ორგანიზაცია.**

## ...წესებულებათა და დამქირავებლებთა საყურადღებოთ.

...აისის ქალაქის თვითმართველობა, თანახმათ საქართველოს დამფუძნებელი კრე... დეკრეტისა ერთდროული სანიტარული გადასახადის შემოღებისა, ამით აუწ... ...ს დაწესებულებლებს და დამქირავებლებს, რომ ისინი, დეკრეტის მე-5 მუხ... თანახმად, **მოვალენი არიან** კანონის გამოქვეყნების დღიდან (31 ივლისი ... წ.) თავიანთ მოსამსახურეებს ჯამაგირის პირველ დარიგებისთანავე აღნიშნუ... გადასახადი ერთბაშათ დაუჭირონ თვითმართველობის სასარგებლოთ და წარ... ...გინონ თვითმართველობაში ცალკე სიით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს გა... ...დელთა სახელი, მამის სახელი და გვარი, მისამართი და რაოდენობა გადასა... ...ისა წინაამდეგ შემთხვევაში მათ ჯარიმად მთელი გადასახადის 50 პროცენტი შეეწერებათ.

გადასახადის რაოდენობა მოსამსახურეებთათვის:

| | | | |
|---|---|---|---|
| 901 მან. | — 1000 მ. | 1% | — 8 — 9 მან. |
| 1001 „ | — 1200 „ | 2% | — 20 — 24 |
| 1201 „ | — 1500 „ | 3% | — 36 — 45 |
| 1501 „ | — 2000 „ | 4% | — 60 — 80 |
| 1001 „ | — 2500 „ | 5% | — 100 — 125 |
| 2501 „ | — 3000 „ | 7% | — 175 — 210 |
| 3001 „ | — 4000 „ | 10% | — 300 — 400 |
| 4001 „ | — 6000 „ | 15% | — 600 — 9008 |
| 6001 „ | — 8000 „ | 20% | — 1200 — 1600 |
| 8001 „ | — 10.000 | 25% | — 2000 — 2500 |
| 10,000 და მეტი | | 30%-ი | |

...აკარგე ბილეთები ერკეთის საზოგადოების (ოზურგე...ს მაზრა) სამმართველოს მიერ მოცე... ... დღეიდან ბილეთებს გაუქმებულათ ...ლით. იაგორ კვირიას ძე და ლევან ...ტი იაგორის ძე კალანდაძეები.

1—1.

## ...ჟორდანიას მოხსენების გამო *)

...მთავრობის თავმჯდომარემ წაიკითხა სა... ...ლხო გვარდიის ყრილობაზე მოხსენე... „თანამედროვე მომენტისა და სახალხო გვარდიის მიზნების" შესახებ.

...ამ მოხსენებას გვერდს ავუვლიდით, ...მთავრობის თავმჯდომარე რომ არ იყოს ...სი ავტორი. და, ცხადია, იმდენად უფ... ...ო უნდა გავუწიოთ მას ანგარიში, რამ...დენადაც მეტი უფლება და ავტორიტი ...ქვს ავტორს.

მაშასადამე მით უფრო ულმობელი უნდა იყოს კრიტიკა.

ნოე ჟორდანია ამბობს: საქართველოში დღეს მუშათა და გლეხთა ბატონობაა და მაშასადამე უმცირესობის დიქტატურას ადგილი არ აქვს, როგორც რუსეთშიო.

რუსეთში სათემო მიწისმფლობელობაა, გლეხს ინიციატივა აკლია; ამიტომ აქ უმცირესობის დიქტატურაა გამეფებული.

ჩვენში კი მიწისმოქმედებას კერძო საკუთრება უდევს საფუძვლად, გლეხი — ინიციატივის პატრონია, თავისუფლების მოყვარეო, თავს მონად არ გაიხდის და ბატონს არ გაიჩენს.

ჩვენში — ნამდვილი დემოკრატიული წყობილებააო და სხ.

მეორე მხრით სოციალდემოკრატიული პარტია — დემოკრატიის, ე. ი. უმრავლესობის პარტია არისო.

ამით აიხსნება, ჩვენში რომ სამოქალაქო ბრძოლა არ არისო და სხ.

აღსანიშნავია, რომ ავტორი საქართველოს დემოკრატიას გერმანიის დემოკრატიაზედაც კი უფრო მაღლა აყენებს, რადგან აქ თითქმის მთელი ერის საარჩევნო ხმები მარტო სოციალ-დემოკრატიამ მიიღო, მაშინ-როდესაც გერმანიის სოციალ-დემოკრატიას დამფუძნებელ კრებაში უმრავლესობა არა ჰყავს.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ მოხსენების დედააზრის შუაგაყოფა, შინაგანი წინაამდეგობა.

ავტორი საფრანგეთის პოლიტიკურ წესწყობილებას დემოკრატიულ წესწყობილებად აღიარებს იმისდა მიუხედავად, რომ პარლამენტის 500 წევრში მხოლოდ ორმოციოდე სოციალისტია!

იმავე დროს ბურჟუაზიის ბატონობა მას — დემოკრატიის უარყოფად მიაჩნია.

განა შეიძლება ამ ორის, ერთმანეთთან შეურიგებელი აზრის შერიგება?!

ინგლისი და ამერიკა — კერძო საკუთრების სანიმუშო ქვეყნებია, თუმც იქ სოციალისტური მოძრაობა გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე სხვაგან სადმე.

თვით გერმანიაში, სადაც სოციალდემოკრატიამ უმრავლესობა ვერ მოიპოვა, განა კერძო საკუთრების მეუფება არ სუფევს?!

მაგრამ როგორ მოხდა, გერმანიაში რომ სოციალდემოკრატიამ თუნდა მცირე უპირატესობა მოიპოვა?!

ამის მიზეზი ის იყო, რომ სოციალდემოკრატიას სხვა პარტიებზე უკეთ მოწყობილი ორგანიზაცია მოეპოებოდა.

და, აბა, ნახეთ, რა შედეგი მოჰყვეს შემდეგს არჩევნებს! უეჭველია, კერძო მესაკუთრეების მჭიდრო კავშირი სოციალ-დემოკრატიას სასტიკად დაამარცხებს.

ეს დროც შორს არ არის და მალე და ვინახავთ ორი სოციალური ძალის შეჯახების შედეგს.

რას-ღა უნდა მივაწეროთ სოციალდემოკრატიის გამარჯვება ჩვენში?!

არა იმას, ვითომ ხალხი შეგნებულად მიემხრო სოციალდემოკრატიას, არამედ იმას, რომ სოციალდემოკრატიას — უბადლო ორგანიზაცია აქვს.

გლეხის იდეალი სულ სხვაა, სოციალ-დემოკრატიისა კი სულ სხვა და, ჩვენმა გლეხობამ თუ სოციალდემოკრატიას ხმა მისცა, — მხოლოდ საარჩევნო აგიტაციისა და დემაგოგიის ზეგავლენით.

მას აღუთქვა კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და ათასი სხვა დაპირება!

მაგრამ, თვით სოციალდემოკრატიაცა გრძნობს, რომ შემდეგ გლეხობა სოციალდემოკრატიასთან აღარ იქნება.

მაშ ამაოა სოციალისტური ექსპერიმენტები! ყველაფერს ამას მხოლოდ დროებითი ხასიათი აქვს.

რაც შეეხება აგრარულ რეფორმას, რომელიც ჩვენმა მთავრობამ განახორციელა, დადებითს მხარესთან ერთად ბევრს ისეთს რასმესაც შეიცავს, რაც სრულიად წინ უდგია კერძო საკუთრების პრინციპს, და, თუ ისე არ შესწორდა, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს, მიწისმოქმედების განვითარება შეუძლებელი იქნება.

აი უმთავრესი შეუსაბამობანი; აღკრძალულია მიწის ყიდვა გაყიდვა; აღარავინ იცის, ვინ არის ოჯახში მიწის მესაკუთრე: ქმარი, ცოლი, ძმები თუ შვილები; მიწის ნორმა, რომელიც მიწისმოქმედს შერჩა, შეუსაბამოდ მცირეა; სახაზინო მიწა ერთობ მოკლე ვადით ეძლევა მოიჯარადრეს და სხ.

ამგვარ პირობებში კერძო საკუთრების პრინციპი შელახულია და მიწისმოქმედს წამქეზებელი ხალისი, ინტერესი, აკლია. ინიციატივაზე ხომ ლაპარაკიც მეტია!

არც გვიკვირს; სოციალდემოკრატია, რომელსაც მიზნად კერძო საკუთრების მოსპობა აქვს დასახული, კერძო საკუთრების საფუძვლის დაცვა და განმტკიცება არ შეუძლია.

დასასრულ ორიოდე სიტყვა სამოქალაქო ომის შესახებაც.

ჩვენი სოციალდემოკრატია, კაი ხანია, იქადის, საქართველოში სამოქალაქო ბრძოლა არ ყოფილაო.

ვერ გავიზიარებთ ამ აზრს. ზარბაზნებმა საქართველოს მთელი სიგრძე სიგანე გადაიარ-გადმოიარეს.

ეს კია სამოქალაქო ბრძოლის ქარტეხილი მალე დაცხრა.

მაგრამ ამის მიზეზი — ინტელიგენციის შეგნებაა. ინტელიგენციას შეგნებული აქვს, რომ სამოქალაქო ომს პატარა საქართველო ვერ აიტანს, თან გადაყვება.

მაშასადამე, არცერთი შეგნებული მოქალაქე, ვისაც კი სამშობლო უყვარს, არ მოინდომებს სამოქალაქო ომის ცეცხლის ანთებას, რაც უნდა შელახული იყოს მისი კლასის ინტერესები.

მაგრამ ხალხში მაინც ყრუ უკმაყოფილება იზრდება.

იმავე დროს მართვაგამგეობის შეუსაბამო სისტემა ქმნის ფინანსიურსა და ეკონომიურ კრიზისს, ე. ი. ხალხის ქრონიკულ შიმშილს, ხალხის ჯანმთელობის განადგურებასა და სხ. და გვიახლოებს კატასტროფას.

დიაღ! სჯობდა, მთავრობის თავმჯდომარეს თავისი გადამეტებული ოპტიმიზმი უკუეგდო და სოციალდემოკრატიული მართვაგამგეო ის სისტემის უარყოფითი მხარეებიც ყურადეღო.

*) იხ. „ერთობა" 9 სექტემბერი.

## ბოლშევიკური პროვოკაცია.

ხელში ჩამივარდა ბოლშევიკების მიერ გამოცემული პროკლამაცია — მოწოდება ქართველ ჯარის კაცებისადმი.

ამ გვარი პროკლამაცია თურმე უხვად არის გაბნეული ხალხში.

ხსენებული პროკლამაცია — ნამდვილი პროვოკაციაა საქართველოს მტრების მიერ შეთხზული.

პროკლამაცია ურჩევს ჩვენს ჯარის კაცებს უარყონ საკუთარი სამშობლო და კვლავ რუსეთი გაიხადონ ბატონად.

ამავე დროს პროკლამაცია იხსენიებს იმ ვითომ ნეტარ დროს, როდესაც ქართველი ჯარის კაცები რუსეთის ჯარებში იყვნენ.

მაგრამ რა კარგი რამე მოაგონდება ქართველ ჯარის კაცს იმ საშინელი დროიდან?! რუს ჯარის კაცთაგან საცინლად აგდება და ათასგვარი შევიწროება ხომ არა?! რუსეთის დამჭკლექიანებელი ჰაერის სუნთქმა ხომ არა?!

პროკლამაცია ურჩევს ქართველ ჯარის კაცებს, სამშობლოს უღალატონ და ახლავე შეებრძოლონ დენიკინის ჯარს.

უეჭველია, დენიკინის ჯართან ბრძოლა თუ კი თვით დენიკინს ამისთვის საბუთი არ მოუცია, ნიშნავს სამშობლოს ღალატს, ვინაიდან ეს იქნებოდა ბრძოლა არა მარტო დენიკინთან, არამედ ინგლის-ამერიკა საფრანგეთთან.

უნდა ვიცოდეთ: რუსეთის ბოლშევიკური ჯარის საბოლოო დამარცხება—აუცილებელია, ვინაიდან დენიკინს—ევროპა და ამერიკა ეხმარებიან.

მაშასადამე ლენინის ბოლშევიკურ ჯარს არა თუ საქართველოს ჯარი, არამედ ვერავითარი ძალა ვერ დაიხსნის დაღუპვისგან.

მეორე მხრით, ბოლშევიკები ცდილობენ, საქართველოს ჯარი საქართველოს მთავრობას გაუორგულონ და ძმათა ომი გამოიწვიონ.

აი სწორედ მაშინ გაეხსნება გზა დენიკინს საქართველოსკენ!

უნდა იცოდეს ყველამ, უიარაღომაც და ჯარის კაცმაც: საქართველოს ბოლშევიკებისთანა მტერი არა ჰყავს. და ყოველი ქართველი მოვალეა სასტიკად შეებრძოლოს ჩვენში ბოლშევიკების მიერ წ რმოებულ პროვოკაციას.

ქართველნო! გიყვარდესთ უპირველესად სამშობლო! ნუ წამოეგებით პროვოკატორების მიერ დაგებულ ანკესს!

ნესტარი.

## ხონის დეპუტაციის დატუსაღებისათვის.

ხონის მოქალაქეთ განიზრახეს მთავრობისათვის პეტიციის წარდგენა.

პეტიცია სრულიად უწყინარი და მშვიდობიანია: მოითხოვენ, რომ ხონი ქალაქად არ იქნეს და თემად გადაკეთდეს.

ამგვარივე თხოვნა გაგზავნეს სამტრედიამ და ზესტაფონმაც, მაგრამ ამით ქვეყანა არ დაქცეულა.

პეტიციის ან მოთხოვნის გაგზავნის უფლება, თუ კი ეს მოთხოვნა რესპუბლიკის ძირითად კანონებს წინ არ უდგია, მოქალაქეთა ყოველ კრებულს აქვს.

ეს—ელემენტარული საჯარო მოქალაქობრივი უფლებაა.

მაგრამ ამ უბრალო ამბის გარშემო საშინელი კორიანტელი დააყენეს.

ვინ იცის, რა არ დააბრალეს პეტიციონერებს: დენიკინელობა, რეაქციონერობა და სხ.

რედაქციას აქვს ცნობები, რომ ამ შემთხვევაში რეაქციონერობასა და დენიკინელობაზე ლაპარაკიც კი მეტია.

მაგრამ, ვთქვათ, რედაქცია ცდება და ადმინისტრაციას აქვს ისეთი ფაქტები, რომელნიც აუცილებელ ჰყოფენ დეპუტაციის დატუსაღებას.

ამ შემთხვევაშიაც კი დარღვეულია მოქალაქის საჯარო უფლება.

**კონსტიტუციის ძირითადი კანონებისა და თანახმად დატუსაღებულთათვის ოცდა ოთხი საათის განმავლობაში უნდა წარედგინათ დასაბუთებული ბრალდება.**

ამის შესახებ კი აი რა მიამბო დეპუტაციის ერთერთმა წევრმა, ცნობილი ილია ხონელის ძმამ—ლუკა ბახტაძემ.

ჯერ ქუთაისში მოგვიყვანეს. წარვუდეგი ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარეს. მან მაღალი ხმით დამტუქსა მაგრამ, როცა გარემოება აუხსენი, ერთმანეთს მეგობრებად დავშორდით.

ჩვენი საქმის შესახებ დადგენილებას თფილისიდან ელიან და ქუთაისში ერთს კვირეს ვართ დაკავებულიო.

ერთს დღეს არ გაუვლია ამ საუბრის შემდეგ, რომ ალბად თფილისიდან მოსული განკარგულების ძალით ჩემი ძველი მეგობარი და მისი ამხანაგები საპყრობილეში დაამწყვდიეს.

მაგრამ ლუკა ბახტაძე გამოცდილი ვექილია, შეგნებული აქვს თავისი მოქალაქობრივი უფლებაცა და მოვალეობაცა და შეწუხებულია არა მით, რომ დატუსაღებულია, არამედ მით, რომ ჩვენში ასე ადვილი ყოფილა მოქალაქის უფლების გათელვა.

სატუსაღოდან ხმა მომაწვდინა და შემომითვალა: გვიშუამდგომლეთ ადმინისტრაციის წინაშე, რომ წარმოგვიდგინონ ბრალდება მე და ჩემს ამხანაგებს და გვაგებიონ პასუხი სამართლის წინაშე. ერთს კვირეზე მეტია, რაც დაგვაკავეს, ახლა საპყრობილეში ჩაგვსვეს და არ ვიცით კი, რისთვის, რა დანაშაულისათვისო!

მივმართავ ადმინისტრაციას, ბრალმდებელსა და მოქალაქობრივი უფლების უზენაეს დაწესებულებათ: დაიცვან მოქალაქის უფლება და პასუხი მოსთხოვონ ამ უფლების შეურაცხმყოფელს.

კვერი.

## ახალი ამბავი

### ქუთაისი.

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის** ახალგაზდათა ყრილობა მოკლე ხანში ქუთაისში მოხდება ეროვნულ დემოკრატიული პარტიის დასავლეთ საქართველოს ახალგაზდათა ყრილობა.

**სამხედრო წესები რკინის გზებზე** მთავრობის დადგენილებით სექტემბრის 18-დან საქართველოს რკინის გზები გამოცხადდა სამხედრო წესზე მყოფად, ამ გზებზე დროებით გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა თფილისის საქალაქო მილიციის უფროსი პორუჩიკი ვ. სულაქველიძე თავის თანამდებობაზე დატოვებით.

**მატარებლის მძარცველთა შეპყრობა.** ნატანებიდან მიღებულ ცნობის თანახმად, იქაურ მილიციას შეუპყრია ნატანებთან მატარებელზე თავდამსხმელთა რამდენიმე მონაწილე, რომელნიც ბორკილებში თფილისისაკენ გამოუგზავნიათ.

**თვალჭრელიძის მკვლელების დატუსაღება.** ქუთაისის რაიონის კომისარმა ნ. ასათიანმა 7 სექტემბერს დაატუსაღა, პარმენ ივანეს ძე თვალჭრელიძის (ცახელის) მკვლელები მცხ. საფირჩხიაზე დათიკო სინოს ძე დოლონაძე, ალექსანდრე პავლეს ძე გაბადაძე და ეზეკია რომანოზის ძე ბუცხრიკიძე, რომლებიც მოთავსებული არიან საგუბერნიო ციხეში.

**გამგეობის წევრის ლევან ქორქაშვილის თფილისიდან დაბრუნება.** ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრი ლევან ქორქაშვილი, რომელიც სამსახურის გამო თფილისში იყო წარსული დაბრუნდა ქუთაისში. მისთვის ქალაქთა კავშირის გამგეობას ქუთაისის საჭიროებისათვის 1500 კუბიკური საჟენი შეშა მიუცია. ცენტრალურ სასურსათო საბჭო ქალაქის საჭიროებისათვის დაპირებია გამგ. წევ. ქორქაშვილს 10,000 ფუთი თივის დათმობას. ქორქაშვილს ქუთაისის ქალაქის გამგეობის სახელით თფილისში ყოფნისას შუამდგომლობა აღუძრავს ქალაქთა კავშირის გამგეობის წინაშე მათზე მთავრობიდან გადაცემული მედიკამენტების ნაწილი, 5000-ცალი ელექტრონის ლამპები და აგრეთვე ყოველგვარი საელექტრონო მასალები ქუთაისში ელექტრონული სადგურის მოსაწყობათ დაეთმოს ქუთაისის თვითმართველობას. ქალაქთა კავშირის გამგეობა ქორქაშვილს დაპირებია ქუთაისის ქალაქის გამგეობის შუამდგომლობის დაკმაყოფილებას.

**ბორჩალოს [illegible] შუამდგომლობა.** ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური —ზონის [illegible] ლომ, ჯუჯუ-კენტმა, სოულ-ბულაღმა, ყარაგალამ, ყარაისამ და პრივოლნაიამ შუამდგომლობა აღძრეს საქართველოს მთავრობის წინაშე ამ სოფლების საქართველოსთან შემოერთების შესახებ

**მკვლელობა.** რაჭის მაზრის კომისარი ატყობინებს ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს, რომ სოფ. სიმშში, ბოროტ გამზრახველებმა მოჰკლეს მელიტონ მანუჩარისძე ყიფიანი.

**მკვლელობა** ლეჩხუმის მაზრის კომისარი ატყობინებს ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს, რომ ლაშხეთის საზოგადოებაში ბოროტ გამზრახველებმა მოჰკლეს ჯანსუხ ოთარის ძე გელოვანი.

— ამავე ინსპექტორის თანაშემწეს მოუვიდა ცნობა, რომ ს. ფარში, სვანეთში 27 ივლისს შურის ძიების ნიადაგზე მოკლეს ბადი მაცქის ძე მიქიანი და ს. ტებიშში მძიმეთ დასჭრეს ამავე ნიადაგზე სპირიდონ გრიგოლისძე კვიციანი

**საავტომობილო მიმოსვლის მოწყობა.** ქალაქის მოურავის ამხანაგმა სერგო რობაქიძემ, გამგეობის წევრების, ინჟინერი აბაშიძის და ლიონიძის თანხლებით ამ დღეებში დაათვალიერა ხონის შარა გზა და ამ გზაზე მდებარე ხიდები. საავტომობილო მიმოსვლისათვის ხავარგისი გამოდგა. ქალაქის ავტომობილმა ქუთაისს და ხონს შუა მიმოსვლა დაიწყო.

**ხიდების გაკეთება.** ერობის გამგ. გადაწყვეტილი აქვს ააგოს ამ მოკლე ხანში ორი დიდი ხიდი: ერთი მდინარე ყვირილაზე სვირში და მეორე რიონზე ს. ვანსა და ამაღლებას შუა. სვირის ხიდის პროექტი და ხარჯთ აღრიცხვა უკვე დასრულებულია, ვანისაკენ ინჟინერი ტეხნიკებით ამ დღეებში გაემგზავრება. ამ ჟამად თბილისში ერობის გამგეობის თავმჯდომარეს დავალება აქვს ზოგიერთი საჭირო მასალები შეიძინოს და ქუთაისში გადმოიტანოს. სვირის ხიდი ჯდება 1,100,000 მან.

**საბჭოს დახმარება.** ქუთაისის ქალაქის გამგეობამ თავის დადგენილებით მგოსანი ცახელის (პარმენ თვალჭრელიძის) დასაკრძალავი ხარჯების დასაფარავათ 1000 მ. გადადვა; ამავე გამგეობამ საზოგადო მოღვაწის —მასწავლებლის **გიორგი ჭუბაშიძე**, შვილი გიორგისა ლევან და შეებენ მეფე სოლომონს და გარდააგდეს ახალციხეს და დაატყვევეს ქვეყანა... მისცა შეწევნა ხონთქარმან მეფესა და მოვიდა იმერეთად და დაიპყრა სამკვიდრებელი თვისი და შეიწყალა ერისთავი როსტომ და დაადგინა ერისთავად. ჟლალატა შეწყალებულმან ამან ერისთავმან როსტომმან და შეიერთა აბაშიძე ლევან და მოიყვანეს ოსმალთ ჯარი დაესხენ მეფე სოლომონს ხრესილს. და მისცა ღმერთმან ძლევა მეფესა სოლომონს და გაიმარჯვა მათ ზედა: კვალად შეიწყალა ერისთავი როსტომ და მისცა ერისთაობა კვალად ულალატა და მოიყვანა ხვანთქრის სარასკირი და მოაოხრა ქვეყანა და მისცა ძლევა მეფეს სოლომონს და გაიმარჯვა; შეიწყალა კვალად ერისთავი როსტომ და მისცა სამკვიდრებელი თვისი. და მოიყვანა კვალად ოსმალთა სარასკირი და ძლეულ იქმნა მეფისაგან: კვალადაც შეითვისა ერისთავი როსტომ და აოხრეს ქვეყანა და ტყვე ჰქმნეს და განდევნეს მეფე სოლომონ და დაიპყრეს სამკვიდრებელი მისი სრულიად. და იქმნა მეფე ულონო ყოვლის გზით და დამალა მეფე ესე სოლომონ წერეთელმან ქაიხოსრომ მონითა ოთხითა ციხესა შინა თვისსა და გარდაპყრეს ცოლნი და შვილნი მეფისა სოლომონისანი და ეძიებდეს სასიკვდილოდ ნიადაგ და იყო ჟამ რაოდენმე ფარულად ციხესა შინა თქვენსა შეწევნითა ღვთისათა და მოქმედებითა ქაიხოსრო წერეთლისა, და დაიპყრა იმერეთი და შეიპყრა ერისთავი როსტომ და

## წარსული და აწმყო.

(დასასრული, იხ. „ჩვ. ქვეყ." № 157).

ქვეით მოყვანილი ორი სიგელი შემთხვევით ჩამივარდა ხელში: ერთს ჩემ ნაცნობს ენახა მეხილის დუქანში.

გავახსენებ მკითხველს: თვითოეულს ამგვარ სიგელს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიის შესწავლისა და მაშასადამე აწმყოს გაგებისათვის და მაშასადამე, თუ ვინმე სადმე აღმოაჩენს, მოვალეა ქუთაისის ეთნოგრაფიულ საზოგადოებას გარდასცეს.

აი ორი ხსენებული სიგელი:

წყალობითა ღვთისითა ჩვენ, მეფობელმან სრულიად იმერთამან ძემან არჩ.—მან მემკვიდრემან მეფემან,მეორემან სოლ [გიბოძე სიგელი ესე წყალობისა თქვენ სარწმუნოთ საყვარელთა და ერთგულთა თავადთა ჩვენთა. თავადსა წერეთელს ზურაბს და ძმისწულსა თქვენსა თავადს წერეთელს. სარდალს ქაიხოსროს, შვილთა და შთამომავალთა სახლისა თქვენისათა, ასე რომ რომელიც რაჭას გაქვსთ თქვენ ბოძებულნი ყმანი და მამულნი ნეტარად ხსენებულისა ბიძისა ჩემისა მეფის სოლომონის მიერ და ნეტარად ხსენებულისა მეფისა დავითის მიერ ქონებულნი ერისთავისანი მათ ებოძათ პაპუნა წერეთლისათვის და ზურაბ სახლთხუცესისათვის.

და აწ ჩვენც წერილითა ამით ვყოფთ განცხადებასა სამართლად ჩამორთმევისა მათისათა და მოცემასა სისხლის დათხევითა ერთგულებასა შინა სამსახურისა სახლისა თქვენისასა: ოდესცა შოშიტა ერისთავმან და გიორგი აბაშიძემან შესთქვეს პირი და ულალატეს მეფეს ალექსანდრეს, წაიყვანეს ქართლს და მოჰკლეს რუისს და დაჰკარგეს შვილი მისი გიორგი; და დაიპყრეს მათ სამკვიდრებელი ჩვენი სრულიად იმერეთი და იყო შვილი მისი გიორგი დაკარგულ ოცდახუთ წელ; შეწევნითა ხვთისითა მოვიდა გიორგი და დაიპყრა იმერეთი სრულიად, და ერთგულად და შრომითა და მსახურებითა სახლისა თქვენისათა განაძო აბაშიძე გიორგი და შეიწყალა ერისთავი შოშიტა მონად თვისა და მისცა საერისთაო სრულიად. და ერისთავმან შოშიტა შეითვისა აბაშიძეები და ულალატეს მეფეს გიორგის და მოჰკლეს იგიცა და იყო ქვეყანა ჩვენი ოხრებასა და ტყვეობასა შინა. და მოკვდა ერისთავი შოშიტა და შეწევნითა ხვთისათა გამოჩნდა მეფის გიორგის ძე ალექსანდრე და დაიპყრო სამკვიდრებელი თვისი სრულიად იმერეთი და დაჯდა მეფედ კვალად ერთგულად და შრომითა და მსახურებითა სახლისა თქვენისათა. და მეფემან ამან ალექსანდრე შეიწყალა შოშიტა ერისთვის შვილი გრიგოლ და დაადგინა ერისთვად და მისცა საერისთავო სრულიად ძ შოშიტას ძემ ერისთავმან გრიგოლმან მოიბირა დადიანი ოტია, აბხაზთ და ოსმალთ ჯარი შეკრბენ ერთად დაესხა გამკეთებელს ბატონს ალექსანდრეს მეფეს თავის ცოლშვილით და გარდაიხვეწა მეფე დედოფლითურთ. და სხვანი სახახლეში მყოფნი ერთბაშად დაატყვევეს. ყოველნი სახლისა მოხელენი ტყვე ჰქმნეს და დაჰყიდეს. საქონელი აიკლეს სასახლე დასწვეს ციხე დააქციენ მეფეს სდიეს და გარდააგდეს ქართლს. მას ჟამსა მკვიდრობდა საქართველოსა შიგან ხპარსნი. დაიჭირეს სპარსთ მეფე ალექსანდრე და გაუგზავნეს ახალციხის ფაშას ტყვედ და იყო რამდენსამე ხანს საპყრობილედ და დატყვევდა ქვეყანა მისი. იუწყა ტყვეობა მისი ხვანთქარმა[illegible]და განათავისუფლა ტყვეობისაგან მეფე ალექსანდრე და მისცა მას ჯარი თვისი და დაიპყრა სამკვიდრებელი თვისი იმერეთი სისხლმდე მსახურებისათა მამა-პაპათა თქვენთათა შეიწყალა კვალად ერისთავი გრიგოლ და მისცა საერისთაო სრულიად. და ულალატა კვალად ერისთავმან გრიგოლმან და მოიბირა დადიანი ოტია აფხაზის ჯარით, და მოაოხრეს ყოველი ქვეყანა და ტყვედ ჰყვეს და დაებარგენ გეგუთს და შემოზღუდეს მეფე ალექსანდრე ქუთაისს. მას ჟამსა მკვიდრობდენ ქუთაისსა შინა ოსმალნი და მისცეს შეწევნა ოსმალთა მეფესა ალექსანდრეს, და გააქციეს ქვეყანისა დამატყვევებელი და ამაოხრებელი დადიანი ოტია ერისთავი გრიგოლ მოჰკლეს ომსა მას შინა; კვალად შეიწყალა ძმა მისი ვახტანგ ალექსანდრე მეფემან და დაადგინა ერისთავად, და იყო ერისთავი იგიც ვახტანგ ორგულებასა წინააღმდეგობასა შინა, და ესეცა გარდაიცვალა. და შეწყალებულ ჰყო ძმა მისი მეფემან ალექსანდრე როსტომ და მისცა საერისთაო სრულიად და მოკვდა მეფე ალექსანდრე და დაჯდა ძე მისი მეფე სოლომონ. და მან ერისთავმან როსტომმან მოიბირა აბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედარს ზუგდიდიდან გადმოსასვენების დასაფარავად 2000 მან. გა-ჯეობამ თავის მორიგ სხდომაზე (17 ბერს ერთხმად ორივე დადგენილე ბის მოიწონა და დაადასტურა.

**10,000 მანეთის გადადება.** თეატრების რემონტის საწარმოებელი ხარჯთ აღრიცხვის შედგენამდე ქუ-ქლ. საბჭომ თეატრის სარემონ-ვლ დასაწყისი მუშაობის საფარ-ათ ქალაქის გამგეობის განკარგუ-ათი ათასი (10,000 მანეთი) გა

**მაზრის კომისარის და მისი თანამშრომლების დაჯილდოვება.** ერობამ მიმდინარე წლის 25 აგვისტოს ყაჩაღ მორჩაძის მოკვლის გამო კომისარს ი. ახვლედიანს და ყველა თანამშრომელთ ამ საქმის ღირსეულ შესრულებისთვის გამო მადლობა ცხადა. და პირველი, კომისარი დაჯილდოვა 8 ათასი მანეთით. უფროსი მილიციონერი ქუთათელაძე ათას ხუთასი მანეთით. დანარჩენი რვა მილიციონე-თას ხუთასი მანეთით.

**საბჭოს დადგენილება.** ქუთაისის საბჭომ თავის მორიგ სხდომაზე (სექტემბერს) დაადგინა: საბჭოს თავმჯდომარეს თვეში ჯამაგირი დაენიშნოს მანეთი.

## ლეჩხუმი ტერორის ქვეშ.

მა ფრაქციამ თავის დროზე პარლა შეკითხვა შეიტანა ლეჩხუმში გა ული ტერორის შესახებ, და მოით-რომ საქმის გამოსარკვევად აერჩიათ ია. ლეჩხუმის დიქტატორებს შეე „რევიზიის“ და თავიანთი „სახა-ექილის“ პირით პარლამენტში ეს ლეჩხუმის ტერორი. სოციალდე-ტების თითებმა კვერი დაჰკრეს მო-ელის წინადადებას, და ამ რიგათ ებულ და დაკანონებულ იქნა ლეჩ-ტერორი.

გვეგონა რომ ტერორის ორგანი-რებს, ერის წმინდათა-წმინდაში, ბის შერცხვებოდათ და თუ წარსულს გამოასწორებდენ მომავალში მაინც ლიდენ ტაქტიკას. მაგრამ განცხა-შემდეგ ტერორმა ოთხი მუშა კაცი იმსხვერპლა.

რედაქციაში გუშინაც მოგვმართა ლეჩხუმელმა, რომელსაც თურმე იან და ტერორით ემუქრებიან, მე-დიდი დანაშაულობისთვის? მიტომ რომ ის ეროვნულ დემოკრატია რწმენით, სახალხო გვარდიის შტაბში მას თურმე პროვოკატორი უწოდეს, გლეხის პასუხის შემდეგ რომ ის პროვოკატორი კი არა მხოლოდ ეროვნულ დემოკრატია და მეტი არაფერი, პირველ ცილისწამებას მეორეც მიუმატეს „მაშ შენ დენიკინის მომხრე ყოფილხარო“-ო.

ღმერთო გვიხსენ ლეჩხუმის შტაბის რისხვისაგან, მაგრამ გავიგოთ როდის იყვნენ ეროვნულ დემოკრატები დენიკინის მომხრენი?

რომელ საუკუნეში იყო რომ დენიკინთან ბრძოლაში ეროვნულ დემოკრატები მთავრობასთან არ იყვენ პარლამენტში, ან სახალხო გვარდიასთან პოზიციებზე?

რომელმა ჩვენმა გაზეთმა მოუწოდა ხალხს არ ებრძოლათ დენიკინის წინააღმდეგ როცა ეს საჭირო იყო?

დენიკინის და ლენინის მომხრეობაზე თუ იქნა მსჯელობა ჩვენ უმეტესი სისწორით დაუმტკიცებთ ქართველ საზოგადოებას ვინ იჭყიტებოდა მუდამ ჩრდილოეთისკენ.

ლეჩხუმში სიტყვის თავისუფლება იმ თავითვე ცალმხრივი იყო, და დღესაც მიტომ შეიპყრეს გენდუშელი მღვდელი რომ სხვა ახალ ამბავთან ერთად უთქვამს: ინგლისელები შავ ზღვაზე საბატონოთ დენიკინელებს სტოვებენო. შეიძლება ეს პროვოკაცია გეგონოთ ლეჩხუმის დიდო ბატონებო, მაგრამ თუ გენდუშელ მღვდელს არ უჯერით, დეე დამშვიდდეს თქვენი „პატრიოტული“ სინიდისი, თუ ბათუმის პორტი გეშორებათ ჩამობრძანდით ქუთაისში და იქაც დადის ასეთი ანდაზა რომ შავ ზღვაზე სამწუხაროთ სამფეროვანი ნიკოლოზის დროშიანი გემები სცურავენ.

ჩვენ წარსულის არ გვეშინია ლეჩხუმის ტერორისტებო, მაგრამ შეიძლება აღარ გავიხსენოთ თქვენი ვერაგული მოქმედებანი წარსულში, თუ მომავალში მაინც მიატოვებთ უკულმართ გზას, და ლეჩხუმელ გლეხს ერთი დისვენებულად და უშიშრად ამოასუნთქინებთ.

ბაჩუა.

## უკანასკნელი ცნობები

**ადერბეიჯანის მთავრობის გადადგომა.**

ადერბეიჯანის პარლამენტში წაკითხულ იქნა მთავრობის თავმჯდომარის ნ. უსუბეკოვის წერილი მთავრობის გადადგომის შესახებ. პარლამენტმა მისი გადადგომა მიიღო. როგორც ხმები დადის, ახალი კაბინეტის შედგენა დაევალება კვლავ უსუბეკოვს. ახალ კაბინეტში შევლენ „მუსავატის“ „იტტიხადის“ და უპარტიოთა წარმომადგენლები. სოციალისტურ პარტიების წარმომადგენლებს მთავრობაში ალაგი არ მიეცემათ.

**აჯანყება საჩეჩნეთში.**

ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსული მგზავრების გადმოცემით, აჯანყებულ ჩეჩნების მიერ აყრილია რკინის გზის ლიანდაგი გუდერმეს-გროზნის შუა

**აჯანყება დაღესტანში.**

ამ უკანასკნელ დღეებში აჯანყებულ მთიელთა საწინააღმდეგოთ გაგზავნილ იქნა ყაზახთა რაზმები. ბრძოლა მოხდა დაშლაგარიდან 6 ვერსის სიშორეზე. მთიელებმა ხელჩართულ ბრძოლაში სრულიად გაანადგურეს აფიცერთა რაზმები (გადარჩა მხოლოდ 10 კაცი), ხელთ იგდეს 28 ტყვიისმფრქვეველი, მრავალი ვინტოვკა, ყუმბარები და პატრონები. 100 კაცისაგან შემდგარმა ყაზახთა რაზმმა თავი შეაფარა გუნიბის სიმაგრეს, მათ მიემატა ახალი ძალებიც. მთიელებმა დაშლაგარის რაზმის განადგურების შემდეგ აიღეს გუნიბი და ხელთ იგდეს 9 ზარბაზანი, რამოდენიმე ტყვიის მფრქვეველი, ყუმბარები და პატრონები. გუნიბში მთიელებმა ამოსწყვიტეს 400 კაცისაგან შემდგარი ყაზახთა რაზმი (გადარჩა მხოლოდ 15 კაცი, რომელიც ტყვეთ იქნა წამოყვანილი).

გუნიბის აღების შემდეგ მთიელებმა დაიჭირეს სოფ. დჟუნგ-ჩუტა და ტემირ-ხან-შურა, პეტროვსკი დერბენტის რკინის გზის ლიანდაგი აყრილია. ასეთია ამ ჟამად მდგომარეობა შუა დაღესტანში, რომელიც განწმენდილია მოხალისეებისაგან.

რაც შეეხება სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილს დაღესტანისას იქაც მოხალისეთა მდგომარეობა კრიტიკულია. რკინის გზის ლიანდაგი სადგ. იალამიდან დერბენტამდი მთიელთა ხელშია. ამ ჟამათ დერბენტში იმყოფება მხოლოდ 200 ყაზახი, რომლებსაც აქვთ 2 ზარბაზანი და გამაგრებულნი არიან სანაპირო ზარბაზნების და გემების საშუალებით. პეტროვსკი და დერბენტი ჯერ კიდევ მოხალისეთა ხელშია დანარჩენი დაღესტანი მათგან განთავისუფლებულია.

## ფრანგული პრესის ცნობები.

უმაღლესმა საბჭომ მიიღო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ბულგარეთის დელეგაციას პარასკევს გადაეცემა, გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაში.

გუშინ დეპუტატთა პალატაში ვივიანმა ცხარე სიტყვა წარმოსთქვა ვერსალის საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის სასარგებლოთ. ორატორი მოითხოვს პატრიოტულ გაერთიანებას საფრანგეთისას, რათა მიღებული გამარჯვება სავსებით გამოიყენოს ქვეყანამ.

ზემო სილეზიიდან მოსული ცნობების თანახმად, ამ დღეებში მოელიან პოლონელების ახალ შემოტევას. მოკავშირეთა კომისიის წევრები განაგრძობენ მოსაზღვრე სოფლებში დაახლოვებით ცნობების შეკრებას იმის შესახებ, რომ აქ მომხდარ ინციდენტს ჰქონდა რაიმე კავშირი სპარტაკელებთან, თუ არა.

ბელგიის მთავრობამ განაცხადა, რომ ბელგიიდან გერმანიის სამხედრო ტყვეების გადაყვანას დაუყოვნებლივ დაიწყებენ.

ფინანსთა საქმეების სტატს-სეკრეტარმა გელფერიხმა განაცხადა, რომ ის ფინანსთა მინისტრის ერცბერგის წინააღმდეგია არა კერძო ნიადაგზე, არამედ ობიექტურ მიზეზების გამო. ერცბერგის ფინანსიურ პოლიტიკას არა აქვს მტკიცე საფუძვლები და იღებს მხედველობაში ისეთს გადასახადებს, რომლის გადახდა გერმანიას არ შეუძლია.

ვალდენბურგში, სილეზიაში სურსათის სიმცირის გამო არეულობა მოხდა.

ვენაში სახელმწიფოების ქალაქების და მთავრობის წარმომადგენლების თათბირი მოხდა. რანერმა, სხვათა შორის სთქვა, ჩვენი სახელმწიფო ეხლა გეოგრაფიულად და ეკონომიურად შვეიცარიის რესპუბლიკას დაემსგავსა და საჭიროა მოწყობილ იყოს ქალაქთა და სახელმწიფოთა მსგავსათ, რომელთაც თვითმართველობა აქვთ. წინათ ჩვენ მადიარებთან, ჩეხებთან, პოლონელებთან და სამხრეთ სლავიანებთან ვიყავით გაერთიანებული და არ შეგვეძლო დამოუკიდებელი ცხოვრება გვეწარმოებია, რადგან აღმოსავლეთთან ვიყავით დაკავშირებული

ახლა ჩვენ თავისუფლები ვართ და ჩვენ შეგვიძლია ჩვენი სახელმწიფო მოვაწყოთ და ვიხელმძღვანელოთ დასავლეთის მაგალითებით. როდესაც ევროპაზე ვლაპარაკობ, მე ვგულისხმობ მთელ დასავლეთს, ე. ი. გერმანიას და იტალიასაც. ჩვენ უნდა შევქმნათ ორგანიზაცია მთელი ქვეყნიერების სახელმწიფოს მსგავსად და არა ბალკანეთის დაგვარად.

გერმანიის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს გერმანიის ფულის კურსის დაცემას სხვა ქვეყნებში, რამაც განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში, ფართე ხასიათი მიიღო.

## იტალიური პრესის ცნობები.

ქალაქ ფიუმეს დელეგაციამ კვლავ მიმართა სენატორ ლოჯს თხოვნით, მიიღოს მხედველობაში ფიუმეს მცხოვრებთა კანონიერი მოთხოვნილებანი.

ნიუ-იორკიდან მიღებულ ცნობის თანახმად სენატორ ლოჯს განუცხადებია, რომ სენატში ყველა რესპუბლიკანელი

---

თა მამაპაპათა სახლისთვის და მრა-დევნულებასა თვისისათვის ქვეყანი-ხრებისათვის და დატყვევებისა ქვე-თვისისა და კვალად აოხრებისა-ორთა დიდებულთა ოჯახთა რომელ-ბრძანებლად მეფისა დაიპყრა თვით ავმან როსტომ ესოდენთა ბრალთა-შეიპყრა ცოლშვილით როსტომ და ახაკა მეფემან შთამომავლობით თვი-და განუყო სამკვიდრებელი ერთგულ-ვისითა რომლისთვისაც ესოდენ ერ-ლებისა და წინაშე მეფეთა სისხლითა ვისა თქვენისათვის ებრძა სანატრელ-ძესა ჩვენსა მეფეს სოლომონს რა-სისხრად ჩვენთა ერისთავთა და შთა-ვლობათა მათთაგან სამართლად მი-ლნი ესე სახელდობ დაწერილნი ყმა-მამულნი ლომინ ერისთვის თავის გან ნაყიდი აზნაურნი და მსახურნი ლებნი მიწაწყალნი რაჭასა და იმე-რასაც მქონებელი იყოს სრულიად. ად ებოძებინა ჯაფარა ჯაფარიძის შვი-და მისი ძმისწულები სრულიად სამ-რებელით თვისით ვაჭრით აზნაური ით მსახურით და გლეხით, მიწით და თ და ციხით. კვალად რაჭას ჩვენი სხარი ერთობით საერისთავო გოცი-ენ თავისის მამულით ყმით მიწით და ით და ბელაშვილი დავითა თვისის მა-ით ყმით მიწით და წყლით; და კვა-ებოძებინა ლიჩი, ლოდარა და გო-თვისის სამართლიანის საზღვრებით ვლად აბდუშელიშვილი ბეჟან და მისი გოგია ბარეულით, მიწით წყლით და ყოვლითურთ ყმით. და კვალად ეკლესია მღვიმევი თავისის სამართლიანი ყმით მიწით და წყლით; და კვალად ძველმამამაპაპათა ჩვენთაგან ბოძებული ჯრუჭი თავისის სამართლიანის ყმით მამულით ადგილი და წყლით. და კვალად ებოძა ძილიშვილისეული საწერეთლოში თავისის ყმით ზამულით ადგილით მიწით და წყლით. და კვალად პასიეთი რომლისთვისცა უმეტესისა წყალობისა თანამდებ იყო სახლი სამეფო ჩვენი ოჯახსა თქვენსა ზედა, და, ამისთვის რომ ძველნი მამა-პაპანი თქვენნი მამა-პაპათა ჩვენთა და მეფეთა წინაშე რიცხვით ორასზედ უმეტესნი ხრმლით და თოფით დააკლდენ სიცოცხლესა და ამისთვის რომელნიცა წინაპართა მეფეთა, მეფისა სოლომონისა. ძმეფისა დავითის მიერ ბოძებულნი მამულნი გაქვნდენ სიგელითა ამით დაგიმტკიცეთ და ღმერთმან ჩვენსა ერთგულებასა შინა მოგახმაროსთ კეთილთა კაცთაგან უცილებელად: აწ ვინაც და რამანც ძმან კაცისაგან მეფემან ანუ დედოფალმან ანუ უფლისწულმან დიდმან ანუ მცირემან ჩვენ მიერ ბოძებულისა ამა წყალობისა შლად ხელ ჰყოს იყავნ კაცი იგი საუკუნოთ ალხოცილ წიგნისა მისგან ცხოველთასა. მიეცინ მას უფალმან ცოცხლივ დანთქმა აბირონისა და ნაწილი იუდა შინამცემელისა და ყოველივე საცხოვრებელი მისი და თვით ცა ჯოჯოხეთის მემკვიდრედ გამოაჩინოს. მსმენელნი და დამამტკიცებელნი წიგნისა ამის აკურთხნეს სიბრძნე მან ღმერთმან განამტკიცნეს და განაძლიერეს ყოვლითა ს თნოდ ღვთის მსახურებითა. აწ არიან წიგნისა ამის თანამოწამედ: წულუკიძე ოტია და ძმა მისი სეხნია, მაჩაბელი ზურაბ. და ყოველნი სახლისა ჩვენისა გამგენი დიდნი და მცირენი. აღიწერა ხელითა მოძღვრის ძის ისე მღვდლის გაბაშვილისათა. თთვესა აპრილის კვ-ს აქაფ ჩყე. მეფე იმერეთის სოლომონ. ნამდვილსა შინა არშიასა ზედა პირველის გვერდისასა დაწერილი არს ესრეთ. სარდალი მოურავი წულუკიძე სვიმონ ვამტკიცებ ამა ხელმწიფისა ჩემისა ბრძანებასა. (სარდალი მოურავი წულუკიძე სვიმონ) წულუკიძე ოტია და სეხნია მოწამე ვართ წერილის ამის (წულუკიძე ოტია, წულუკიძე სეხნია) არშიასა ზედა მეორეს გვერდისასა დაწერილ არს ესრით ჩვენ ყოვლად სამღვდელო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოს თანამოწამე ვარ ამ ჩვენის ხელმწიფის ბრძანების და ვამტკიცებ და შლად ხელყოფასა ამისსა ვსწყევ და შევაჩვენებ (ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოს). ჩვენ ყოვლად სამღვდელო ნიკოლოზ წმინდელი არხიეპისკოპოსი სოფრონიოს ვამტკიცებთ ამ ხელმწიფისა ჩვენისა ბრძანებასა და შლად ხელყოფასა შევაჩვენებ და ვსწყევ წელსა ჩყე აპრილის კზ (ნიკოლოზ წმინდელი სოფრონიოს) ჩვენ ყოვლად სამღვდელო გენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმე ჩემის ხელმწიფის მეფის სოლომონის ბრძანებით ნებითა ღვთისათა ვამტკიცებ და დამრღვეველსა ამისსა ვსწყევ და შევაჩვენებ (გენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმე) ჩვენ ყოვლად სამღვდელო მთავარ ეპისკოპოსი ანტონი მისი სიმაღლის მეფის ბრძანებას ვამტკიცებ და დამრღვეველსა ამისა ვსწყევთ და შევაჩვენებ (მთავარ ეპისკოპოსი ანტონი).

II.

წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ წიგნი და სიგელი ჩვენ ღვთივ აღმაღლებულმა და ღვთივ გვირგვინოსანმან სოლომონიან და პანკრატოვანმა ძლიერმან... ლიხთ იმერთ მპყრობელმან ბატონმან მეფეთ-მეფემ და თანამეცხედრემან ჩვენმა დედოფალთ-დედოფალმან დადიანის ასულმა მარიამ და სასურველმან ძმამ ალექსანდრემ: შენ აბდუშელიშვილის შვილს გიორგის, შვილსა შენსა და სხვათა შენთა მომავალთა გიყავთ წყალობა და ბარჩინეთ იმისათვის რომ შენ უსჯულოითა მტერთაგან თათრად იყავი და ჩვენ მოგნათლეთ და გიბოძეთ (წაშლილია, შემდეგ ჩამოთვლილია ნაბოძები კაცების სახელი და გვარები; ავტორი).

ამ სიგელს ამტკიცებს სახლთუხუცესი მესხი პატა . აბაშიძე დავით. და ასეთი ბოლო აქვს: „მე სვიმონ მღვდელს წერეთელს კარის მწირველს და მოძღვარს დამიწერია იანვრის ით ქრისტეს აქეთ ჩღჲბ“ (იანვრის 19 ქ. აქეთ 1762 წ.).

ვასილ წერეთელი.

დეპუტატი ერთხმად მისცემს ხმას იტალიას.

ლისაბონიდან ნეაპოლში მოვიდა პორტუგალიის გემი „გალმანი“. გემმა 300 მოგზაური მოიყვანა ეს პირველი გემია ომის შემდეგ, რომელმაც მგზავრობა განახლა. იტალიის გუბერნატორი უცხოელებს მოსვლას თანაგრძნობით შეხვდა.

განზრახულია ძეგლი დაიდგას ფრანგ იტალიელ მეომართა ძმური კავშირის აღსანიშნავად. ამ ძეგლის სასარგებლოთ საფრანგეთ-იტალიის კომიტეტმა, რომელიც პარიზში არსებობს, გადასდო 500,000 ფრანკი.

## ყოფილ სამხედრო ტყვეთა საყურადღეგოთ.

1919 წ. აგვისტოს 1 ს ქ. ჰამბურგში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბერლინელ წარმომადგენლობის მონდობილობით საქართველოს მომავალ სამხედრო ტყვეებს ჩამოერთვა გერმანული სახელმწიფო მარკები.

ჩვენი მოხსენების საპასუხოდ საქართველოს დემ. რესპ. მთავრობამ ბრძანება გასცა ამ ფულის სამაგიერო დაუბრუნდეს სამხედრო ტყვეებს, რომელთაც ფული ჩამოერთვათ ჰამბურგში, ქართული ბონების სახით.

მივმართავთ ყოფილ სამხედრო ტყვეებს, გამოგზავნონ ბერლინელ საელჩოს სახელით გაცემული ბარათები — კვიტანციები და წერილობით მიმართონ შემდეგი ადრესით: თფილისი, სამხედრო სამინისტრო, სამ—ნეო განყოფილების საქმის მწარმოებელს ბ. ალექსანდრე ნეიმანს.

მოვაგონებთ ყველას, რომ აუცილებლად საჭიროა საელჩოს კვიტანციების გადმოგზავნა, ისე ფულის გაგზავნა შეუძლებელი იქნება.

სატრანსპ. კომისიის თავმჯდომარე, ფილ დოკ კონსტ. გამსახურდია.

თფილისი, სექტ. 20

## დამფუძნებელი კრება.

პარასკევს ნაშუადღევის 12 საათზე გაიხსნა დამფუძნებელი კრების მეორე სესია. თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე. დღის წესრიგშია სამანდატო კომისიის მოხსენება შესახებ დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნებისა, იურიდიულ კომისიის მოხსენება შესახებ სენატორთა არჩევისა და გზათა უწყების დეკრეტი რკინის გზის დასაცავად განსაკუთრებული რაზმის დაარსებისა.

**გრ. ურატაძე.** (სოც.-დემ.) სამანდატო კომისიის სახელით მოახსენებს კრებას დამატებითი არჩევნების შესახებ. 10—12 აგვისტოსთვის არ მოხერხდა მომხდარიყო არჩევნები ყველა იმ ოლქებში, სადაც არ იყო არჩევნები პირველი არჩევნების დროს. არჩევნების მოხდენა შეუძლებელი გახდა ამ დროსათვის აფხაზეთში. სამანდატო კომისიამ სავსებით დაუმტკიცებია ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება შესახებ არჩევნებისა: ბორჩალოს ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში, თიანეთის და დუშეთის მთიანს ადგილებში და სვანეთში. ყველა ეს არჩევნები სამანდატო კომისიამ დაამტკიცა. დამატებითი არჩევნებში მონაწილეობა მიუღია 87 ათას მოქალაქეს. საბოლოო საარჩევნო მეტრი ყოფილა 4439. დამფუძნებელი კრება ამტკიცებს სამანდატო კომისიის მოხსენებას.

**არსენიძე.** (სოც.-დემ.) იურიდიული კომისიის სახელით აცხადებს, რომ კომისიამ ვერ მოასწრო სენატორებს არჩევის საქმის სავსებით დასრულება და თხოულობს ეს საკითხი წესრიგიდან ამოირიცხოს.

**ჰავჰანიძე.** (სოც.-დემ.) აკეთებს მოხსენებას შესახებ დეკრეტისა რკინის გზე(ბ)ზე დასაცავად განსაკუთრებული რაზმის ...ნისა და ამისთვის საჭირო თანხის მათისათა... თა ერთგუ...ისა. მოხსენებელი ეხება უკანასლისა თქვ... კნელ დროს რკინის გზებზე მომხდარ ამბებს და გზათა კომისიის სახელით წინადადებას იძლევა, რომ დეკრეტი მიღებულ იქნეს. ამის შემდგომ ამ საკითხის განხილვა დროებით წყდება და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ესალმება ინგლისის წარმომადგენელს კავკასიაში ბ-ნ ოლივერ უორდროპს, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგთან ბ. საბახტარიშვილთან ერთად დიპლომატიურს ლოჟაში შემოვიდა.

**ალ. ლომთათიძე** ამბობს, რომ მას აქვს უდიდესი ბედნიერება მიესალმოს საქართველოს დამფუძნებელს კრებაში დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელს ბ. უორდროპს, რომელსაც საქართველო თავის მეგობართ სთვლის ის ეხება საქართველოს პოლიტიკურს მდგომარეობას დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ და გამოსთქვამს იმედს, რომ დიდი ბრიტანეთს და სხვა ევროპის სახელმწიფოებს საკმაო საბუთი აქვს დასარწმუნებლად, რომ საქართველოს შესწევს უნარი და ძალა საკუთარი დამოუკიდებელი არსებობისა. მისალმების დაწყებიდანვე მთელი კრება ფეხზე დგება და ოვაციებს უმართავს ბ. უორდროპს.

ამის შემდგომ თავმჯდომარე მიმართავს მისალმებით სამუსულმანო საქართველოს მეჯლისის წევრებს, რომელნიც ესტუმრენ საქართველოს დამფუძნებელს კრებას ზიაბეგ აბაშიძის მეთაურობით. თავმჯდომარე გამოსთქვამს მტკიცე იმედს, რომ სამუსულმანო საქართველო სულ მოკლე ხანს შეუერთდება საქართველოს და ამის შემდგომ მასთან ერთად განაგრძნობს საერთო სამშობლოს აღორძინებისათვის მუშაობას. კრება ოვაციებს უმართავს სამუსულმანო საქართველოს მეჯლისის წევრებს. ამის შემდეგ გრძელდება დეკრ. განხილვა.

**ნ. რამიშვილი.** შინაგან საქმეთა მინისტრი აღნიშნავს უკანასკნელ დროში მომხდარ თავდასხმებს და ამტკიცებს, რომ ყოველივე ეს დაკავშირებულია ზოგიერთ უცხო სახელმწიფოების აგენტების მუშაობასთან. საქართველოს მტრებს უნდათ შექმნან აქ ანარქია, რომ მით საბჭოთა რუსეთის საქმე აკეთონ აქ. მინისტრი საჭიროდ სთვლის აგეთი გამოსთვლის წინააღმდეგ განსაკუთრებულ ზომების მიღებას. რკინის გზაზე დაინიშნება გენერალ-გუბერნატორი და შესდგება განსაკუთრებული რაზმი მატარებლების დასაცავად მთავრობას განზრახვა აქვს აგრეთვე სხვა ზომების მიღება, რომელნიც კრებას შემდეგში მოხსენდება.

**ალ. ასათიანი.** (ეროვ.-დემ.) ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია სავსებით ეთანხმება გზათა უწყებას, რომ უკანასკნელ დროს რესპუბლიკის რკინის გზებზე გახშირებულ დაცემათა აღმოსაფხვრელად განსაკუთრებული ზომების მიღება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

ცხადია, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივობის მტრები უცხო ქვეყნების აგენტები თუ აქ მყოფი ბოროტმოქმედნი სარგებლობენ საქართველოდან ინგლისის ჯარების გაყვანით და ასეთს დროს უნდათ შექმნან ჩვენში ანარქია და არევ-დარევა.

რომ საჭიროა განსაკუთრებული ზომები, ამას მე ვფიქრობ, დამფუძნებელი კრების ყველა წევრები დაეთანხმება. საკითხი მხოლოდ იმაშია—როგორი ზომები აქვს განზრახული მთავრობას, უზრუნველყოფს თუ არა ეს დასახული მიზნის მიღწევას. ეროვნულ დემოკრატიული ფრაქცია ჰფიქრობს, რომ გზათა უწყების მიერ განზრახული ღონისძიებანი, რომელსაც ჩვენ დღეს მივიღებთ, სრულებით საკმარისი არ არის. საჭიროა უფრო რადიკალური ზომების მიღება და ამის შესახებ მთავრობის განზრახვების მოსმენას მე ბ. შინაგან საქმეთა მინისტრისაგან მოველოდი. სამწუხაროდ ის მხოლოდ ამ ბოროტმოქმედებათა დახასიათებას დასჯერდა და არ გვამცნო ჩვენ რა ზომებ-ს მიღებას აპირებს შინაგან საქმეთ- სამინისტრო საქართველოში წესრიგისა და მშვიდობიანობის დასაცავად. რკინის გზის მატარებლების დაცვა, რაც უნდა კარგად არ მოეწყოთ ის, მიზანს ვერ მიაღწევს, რესპუბლიკის რკინის გზებზე მშვიდობიანს და უშიშარ მოგზაურობას ვერ უზრუნველყოფს. ყველა ვაგონები, რომ მილიციელებით აავსოთ, რკინის გზის მოძრაობა მაინც არ იქნება დაცული, უკეთუ გზის გარშემო არ იქნება დამყარებული წესრიგი და ბოროტ მოქმედთა თარეში მოსპობილი არ იქნება. რკინის გზა საქართველოს შუაზე სჭრის. როგორ გნებავთ მაზედ მშვიდობიანობა დაიცვათ, უკეთუ ავ ზაკობა და ბოროტ-მოქმედება დაიბუდება იმ მაზრებში, რომელნიც მის გარშემო მდებარეობს. ამიტომ მოველოდით ჩვენ ბ. შინაგან მინისტრისაგან საკითხის უფრო ფართოდ გაშუქებას. რა ზომების მიღება აქვს მას განზრახული ყველა მაზრებში ადმინისტრატიული აპარატის გასამაგრებლად, ანუ უკეთ რომ ვთქვათ ადმინისტრაციის. შესაქ ნელად, ვინაიდან ის რაც ჩვენ გვაქვს, არ არის ადმინისტრაცია, საიმედო ძალა მშვიდობიანობისა და წესრიგის დასაცავად.

როდესაც ჩვენ გაფრთხილებდით ნუ დაუჩქარებთ ადმინისტრაციის ერობებისთვის გადაცემას, ჯერ შევქმნათ ერობები, განვამტკიცოთ ისინი და მერე გადავცეთ მათ ეს ახალი-ძიმე ვალდებულებათქო, თქვენ არ დაიჯერეთ. დღეს ყველა აშკარად ვხედავთ, რომ ახლად დაარსებულ თვით მმართველობებთ არ ძალუძთ სახელმწიფოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა ფუნქციების შესრულება, ისინი ვერ ზიდავენ ასეთ მძიმე ტვირთს-და ამით ზიანდება ყველა მათი საქმეები.

თქვენ ჰფიქრობდით, რომ დემოკრატიული იდეა მოითხოვდა მოუწყობელ ერობებისათვის გადაცემას ყველა იმ საქმეებისა, რომელთაც ისინი ვერ დასძლევდენ.

რკინის გზის დაცვის მოწყობა გაგვიძნელდება თუ საზოგადოთ ადმინისტრაციის შექმნაზე არ ვიზრუნეთ. თავდასხმები მარტო რკინის გზებზე არ ხდება, ამ დღეებში რამოდენიმე თავდასხმა მოხდა ქალაქებსა და სოფლებში. შესაძლოა ეს კიდევ გავრცელდეს. ამისთვის საუკეთესო ნიადაგია ის ფსიხოზი, რომელიც ხალხს მოედო—ადამიანის უფლებისა და საკუთრების უარყოფა და უპატივცემლობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თავისი კურსის გამოცვლა ჰმართებს. ერობებში ადმინისტრაცია მოუწყობელია ამასთანავე დაბალი ადმინისტრაციის დამოკიდებულობა ერობასთან და შინაგან საქმეთა უწყებასთან არ არის ნათლად გამორკვეული. ყოველს მოხელეს საბაბი ეძლევა დაემორჩილოს ერობას, როცა ეს მას ესურვება, ანუ შინაგან საქმეთა უწყებას, როცა ეს მისთვის სარფა არის, და ეს კი ჰქმნის ისეთს მდგომარეობას, როდესაც მოხელეებს შეუძლიანთ არავინ არ სცნონ და არავის არ დაემორჩილონ. უმრავლეს შემთხვევაში სწორედ ასე არის ადმინისტრაციული აპარატის გაერთიანება, მისი ერთ ბრძანებლობის ქვეშ ჩაყენება—აი რა არის აუცილებელი, თუ მთავრობას დაჩქარებით სურს საქართველოში წესრიგის აღდგენა. მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება, თუ შინაგან საქმეთა უწყებამ თავი არ დაანებია ფავორიტების ძებნას და ყველა თავისი იმედების მათზე დამყარებას. უწყებამ უნდა შეიგნოს რომ არც ერთმა მისმა ფავორიტმა მას იმედი არ გაუმართლა. ამოჩემება ერთი კაცის, მისი იქით აქეთ წეწვა და ყველა თანამდებობებზე მოთავსება, გენიოსიც რომ იყოს ეს ერთი პირი, მეტად შემცდარი და არა საიმედო პოლიტიკაა. უნდა გამომუშავდეს წესი. სისტემა, უნდა შეიქნეს მთელი ორგანიზაცია, თორემ ერთი კაცის შემყურე და მოიმედე ერთს კუთხეში ვერ დაამყარებთ მშვიდობიანობას, არამც თუ მთელს რესპუბლიკაშიო.

**არსენიძე** (ს.-დ.) ეკამათება ასათიანს და ამტკიცებს, რომ ერობები სულ მალე შეძლებენ ადმინისტრაციის წესიერად მოწყობას, საჭიროა მხოლოდ მისი დახმარება და ხელის შეწყობა...

**ნუცუბიძე** (ს.-ფ.). საჭიროდ არ სთვლის ამ საკითხის ... განხილვას და უსაყვედურებს მინისტრს, რომ მან საკითხი ფართოდ დააყენა.

**გობეჩია** (ს.-რ). ეკამათება მინისტრს და მომხდარ ამბებს ადმინისტრაციის სისუსტით ხსნის ვაგონებში რომ მილიციელები ჩასვათ, თუ მატარებლი გადავდეს რელსებიდან დაიღუპება ხალხი და მილიციელებიც. ამ საქმეს უფრო სერიოზული ღონისძიება გამოასწორებს.

უკანასკნელ სიტყვაში მომხსენებელი აღნიშნავს, რომ დეკრეტის პრინციპიალური მოწინააღმდეგე არავინ ყოფილა. კრება ღებულობს დეკრეტს და სხდომა იხურება 2. ნახ. საათზე.

## კორესპონდენცია.

### ოკრიბიდან.

ოკრიბის მხარემ ცნობილი ყაჩაღის მირჩაძის მოკვლის შემდეგ დაისვენა და სული ამოითქვა. თუ უწინ ყველა შიშს ქვეშ იყო და სოფლად გავლა სახიფათო იყო, დღეს ყველა თავისუფლად გრძნობს თავს. მაგრამ სოფლად არიან ისეთი გლეხები, რომელთაც მორჩაძის მოკვლა არ სჯერათ და ჭორებათ მიაჩნიათ.

— აბა ვის შეეძლო იმისი მოკვლა? იგი ცოცხალია და კვლავ გვინახულებსო, —ამბობს ბევრი.

არ ვიცი რისთვის, მაგრამ არიან ისეთები რომელთაც მოკვლა სწყენთ.

გავლენა მორჩაძისა ისეთი ძლიერი ყოფილა ამ მხარეში, რომ დღეს, როდესაც იგი საიქიოს იმყოფება, ხალხი ერთმანეთს დაუპირდაპირდა. არის ჩამოვარდნილი ერთნაირი მტრობა მორჩაძის მომხრეებსა და მტრებს შორის, რასაც უეჭველია ცუდი შედეგი მოყვება თუ დროზე არ ჩანელდა.

ეს მხარე მოსავლის მხრით ისეთ პირობებში იმყოფება, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეები. გამუდმებულმა წვიმებმა სიმინდის და ღომის ყანებს გაზდა არ დააცალა. დღეს კი, როდესაც სიმინდი უნდა მწიფდებოდეს აცივდა და იმედი არ არის რომ ყანები დამწიფდეს. ამ რიგად წელს ოკრიბას, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებს შიმშილი მოელის.

წახდა ვენახებიც. არ მოიპოება ისეთი გლეხი, რომელსაც ქვევრში ჩასასხმელი ღვინო მოუვიდეს. როგორც ამბობენ ლერწებიც არ დამწიფებულა და ამგვარად იმედი საგაისოდაც დაკარგულია.

ოკრიბის გლეხობის მასაზრდოებელ ერთ-ერთ წყაროთ ხილიც ითვლებოდა. ხილის მოსავალი გასულ წლებში ამ კუთხეში ისეთი უხვი იყო, რომ გლეხობას, აქაურ მცხოვრებლებს დიდ შეღავათს აძლევდა, მაგრამ წელს ხეხილიც წახდა, რამაც მცხოვრებლები უნუგეშო მდგომარეობაში ჩააგდო.

სწავლა განათლების მხრით ეს კუთხე ჩამორჩენილი იყო, მაგრამ ამ ბოლო ხანებში შეიგნეს სწავლის მნიშვნელობა და შვილებს თითქმის ყველა სკოლებში აბარებენ. სკოლების რიცხვი თანდათანობით იზრდება. სამაზრო ერობა ამ კუთხეში არსებულ სკოლების გარდა ხსნის 12 პირველ დაწყებით სკოლას. განზრახულია აგრეთვე დაარსდეს 3 უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელიც.

ერობის და კერძო საერობო წვრილი ერთეულების მნიშვნელობა ჯერ აქეთ კიდევ ვერ შეიგნეს. წვრილი ერთეულები ჯერჯერობით მოწყობილია მხოლოდ მანდიკორსა და გურნაში. კურსებში ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს. საწირემ და რიონმა არჩევნებზე სრულიად უარი სთქვა.

საჭირო არის ამ კუთხეებში შეტანილ იქნეს მეტი შეგნება და განვითარება.

X.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.